პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათდღიური ორგანო.

22
იანვარი
1938 წ. № 2 (118)



ი. სტალინი

ფიცი

სიტყვა წარმოთქმული საბჭოების მე-2 საკავშირო ყრილობის ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად მიძღვნილ სამგლოვიარო სხდომაზე 26 იანვარს 1924 წ.

ჩვენ, კომუნისტები, — განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ის ვართ, ვინც შეადგენს უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება—ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის წოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი. ყველას როდი შეუძლიან იყოს წევრი ასეთი პარტიისა. ყველას როდი შეუძლიან აიტანოს ის გაჭირვება და ქარიშხალი, რომელიც დაკავშირებულია ასეთი პარტიის წევრობასთან. მუშათა კლასის შვილები, გაჭირვებისა და ბრძოლის შვილები, წარმოუდგენელ შევიწროვებათა და გმირულ თავდადებათა შვილები— აი ვინ უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, ასეთი პარტიის წევრი. აი რატომ არის, რომ ლენინელების პარტიას, კომუნისტების პარტიას, ამავე დროს ეწოდება მუშათა კლასის პარტია.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ, მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიდი სახელი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს!

25 წლის განმავლობაში ზრდიდა ამხანაგი ლენინი ჩვენს პარტიას და გამოზარდა იგი, როგორც მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და ყველაზე გამობრძმედილი მუშათა პარტია. ცარიზმისა და მისი ოპრიჩნიკების იერიშები, ბურჟუაზიისა და მემამულეების სიაფთრე, კოლჩაკისა და დენიკინის შეიარაღებული თავდასხმანი, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ჩარევა, ასპირიანი ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის სიცრუე და ჭორები, — ყველა ეს მორიელნი განუწყვეტლივ სცვიოდა ჩვენი პარტიის თავზე მეოთხედი საუკუნის მანძილზე. მაგრამ ჩვენი პარტია იდგა, როგორც კლდე, იგერიებდა მტრების უთვალავ იერიშს და მიჰყავდა მუშათა კლასი წინ, გამარჯვებისაკენ. მკაცრ ბრძოლებში ჩვენმა პარტიამ გამოსჭედა თავისი რიგების ერთიანობა და სიმჭიდროვე. ერთიანობითა და შემჭიდროვებით მიაღწია მან მუშათა კლასის მტრებზე გამარჯვებას.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალის ჩინი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

მძიმე და აუტანელია მუშათა კლასის ხვედრი. მტანჯველი და სამძიმოა მშრომელთა წამება. მონები და მონათმფლობელები, ყმები და ბატონები, გლეხები და მემამულეები, მუშები და კაპიტალისტები, ჩაგრულები და მჩაგვრელები — ასე შენდებოდა ქვეყანა ძველთაგან, ასეთად რჩება ის ახლაც ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში. საუკუნეთა განმავლობაში მრავალ ათჯერ და ასჯერ უცდიათ მშრომელებს ჩამოეგდოთ მჩაგვრელნი და გამხდარიყვნენ თავისი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი. მაგრამ ყოველთვის, დამარცხებულნი და შერცხვენილნი, იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ, გულში ჩაეხშოთ შეურაცხყოფა და დამცირება, სიძულვილი და სასოწარკვეთილება და მიეპყროთ თვალი გამოუცნობი ცისაკენ, სადაც ისინი იმედოვნებდნენ ეპოვნათ ხსნა. მონობის ბორკილები ხელუხლებელი რჩებოდა, რადგან ძველ ბორკილს სცვლიდა ახალი, იმდენადვე მძიმე და დამამცირებელი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოახერხეს დაჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის დამხობა და მის მაგიერ მუშებისა და გლეხების ბატონობის დამყარება. თქვენ იცით, ამხანაგებო, და ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს ამას, რომ ამ გიგანტურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლენინი და მისი პარტია. ლენინის სიდიადე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა,- შექმნა რა პროლეტარიატის დიქტატურა, საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი დაკარგული არ არის, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა არ არის მუდმივი, რომ შრომის სამეფოს დამყარება **შეიძლება** თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს **მიწაზე** და არა ზეცაში. ამით მან განთავისუფლების იმედით აღაგზნო მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების გული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა, გეფიცებით, შენ, ამხანაგო ლენინ, არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც.

პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში შექმნა მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე. ეს პირველი და ძირითადი საფუძველია საბჭოების რესპუბლიკისა. მუშები და გლეხები ვერ დაამარცხებდნენ კაპიტალისტებსა და მემამულეებს, ასეთი კავშირი რომ არ ყოფილიყო. მუშები ვერ შესძლებდნენ კაპიტალისტების დამარცხებას გლეხობის მხარდაუჭერლად. გლეხები ვერ შესძლებდნენ მემამულეების დამარცხებას მუშებს რომ მათთვის ხელმძღვანელობა არ გაეწიათ. ამას მოწმობს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული სამოქალაქო ომის მთელი ისტორია. მაგრამ საბჭოების რესპუბლიკის განმტკიცებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, — მან მიიღო მხოლოდ ახალი ფორმა. წინათ მუშათა და გლეხთა კავშირს ჰქონდა სამხედრო კავშირის ფორმა, ვინაიდან ის მიმართული იყო კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ. ახლა მუშათა და გლეხთა კავშირმა უნდა მიიღოს ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებ შორის სამეურნეო თანამშრომლობის ფორმა, ვინაიდან იგი მიმართულია ვაჭრისა და კულაკის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი მიზნად ისახავს მუშებისა და გლეხების ურთიერთმომარაგებას ყველა საჭირო საგნებით. თქვენ იცით, რომ არავინ ისე მტკიცედ არ ატარებდა ამ ამოცანას, როგორც ამხანაგი ლენინი.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა, ჩვენ მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

საბჭოების რესპუბლიკის მეორე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა მშრომელების კავშირი. რუსები და უკრაინელები, ბაშკირები და ბელორუსები, ქართველები და აზერბეიჯანელები, სომხები და დაღესტნელები, თათრები და ყირგიზები, უზბეკები და თურქმენები, — ყველა ისინი ერთნაირად არიან დაინტერესებული პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში. პროლეტარიატის დიქტატურა არა მარტო იცავს ამ ხალხებს ბორკილებისა და ჩაგვრისაგან, არამედ ეს ხალხებიც იცავენ საბჭოების რესპუბლიკას მუშათა კლასის მტრების მზაკვრობისა და თავდასხმისაგან თავისი უანგარო ერთგულებით საბჭოების რესპუბლიკისადმი, თავისი მზადყოფნით თავი დასდონ მისთვის. აი რატომ ლაპარაკობდა დაუღალავად ამხანაგი ლენინი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობის შესახებ, რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში მათი ძმური თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ, განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ რესპუბლიკათა კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

პროლეტარიატის დიქტატურის მესამე საფუძველს წარმოადგენს ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი. ლენინი არაერთხელ გვეუბნებოდა ჩვენ, რომ შესვენება, რომელიც ჩვენ ბრძოლით მოვიპოვეთ კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს. ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა ჩვენ, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კერზონის ულტიმატუმთან და გერმანიაში არსებულ კრიზისთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ ლენინი, მართალი იყო, როგორც ყოველთვის, მაშ ფიცი დავდოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალღონეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ლენინის დროშით

ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადმწყვეტ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამ დროშითვე გავიმარჯვებთ მთელი მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციაში.

(ი. სტალინი).

14 წელი გვაშორებს იმ მძიმე დღეებს, როდესაც მთელი მსოფლიოს მშრომელმა კაცობრიობამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

1924 წლის 21 იანვარს შესწყვიტა მაჯისცემა, ყველა დროისა და ყველა ეპოქის უდიდესი გენიოსის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონების უსაყვარლესი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მგზნებარე გულმა.

მძიმე იყო ეს დღეები ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასებისათვის. ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მათ დაჰკარგეს ადამიანი რომელსაც რკინის ხელით მიჰქონდა მარქს-ენგელსის დიადი და უძლეველი დროშა, აგრძელებდა და აღრმავებდა რა მათ მიერ დაწყებულ დიად საქმეს, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავდა მსოფლიო პროლეტარიატი.

ძნელი იყო შერიგება იმ აზრთან, რომ აღარ არის ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და უძლეველ ძალად იქცა ბოლშევიკების დიადი პარტია, რომლის ხელმძღვანელობით რუსეთის მშრომელებმა ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის ქარცეცხლში დაამსხვრიეს რუსეთის მემამულურ - ბურჟუაზიული შავბნელი წყობილება და შექმნეს კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა, სოციალიზმის ერა.

ლენინის გარდაცვალებიდან განვლილი 14 წელი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის უმაგალითო გამარჯვების წლები, ლენინიზმის ძლევამოსილი, ტრიუმფალური გამარჯვების წლები.

დაიმსხვრა და გაცამტვერდა ჩვენი დიადი ქვეყნის შინაური და გარეშე მტრების იმედები იმის შესახებ, რომ თითქოს ლენინის სიკვდილით სოციალიზმის საქმე დაიღუპებოდა. მართალია ლენინი მოკვდა მაგრამ დარჩა ლენინიზმი, დარჩა ლენინის მიერ ბრძოლებში გამოწრთობილი ბოლშევიკური პარტია, რომელსაც სათავეში უდგას ლენინის გულწრფელი მოწაფე და თანამებრძოლი დიდი სტალინი.

დიდმა სტალინმა ფოლადის ხელი ჩასჭიდა ლენინის დიად დროშას და ძლევამოსილად მიაქვს იგი კომუნიზმის ნათელ მწვერვალებისაკენ. ლენინის კუბოსთან ყველა მშრომელის სახელით, მისი საქმის ყველაზე ერთგულმა გამგრძელებელმა დასდო ფიცი.

ამხანაგ სტალინის მიერ დადებული ფიცი, ბრწყინვალეთაა შესრულებული. საბჭოთა ქვეყნის ხალხმა ლენინის უძლეველი დროშით რომელიც ხელთ უპყრია ამხანაგ სტალინს, ისტორიაში არ ნახულ გამარჯვებებს მიაღწია. როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს: „ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა სოციალიზმი“. ამ უდიდეს წარმატებებს ჩვენ მივაღწიეთ იმიტომ, რომ „გამოინახა რევოლუციის ისეთი მხატვარი, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ხუროთმოძღვარი, რომელმაც შესძლო არა საუკუნეების განმავლობაში, არა ასეული წლების და არც ათეული წლების განმავლობაში, არ ნახულ სიმაღლეზე აეყვანა ჩვენი საბჭოთა ქვეყანა და მით დაეხატა ვლადიმერ ილიას-ძის პორტრეტი...

ლენინური ეპოქის ეს უდიდესი, გენიალური მხატვარი, სოციალისტური მშენებლობის ეს ხუროთმოძღვარი, რომელმაც საქმით დახატა ლენინის პორტრეტი, როგორიც იგი უნდა იყოს, არის ჩვენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი“. (ეკოვი — სიტყვა გორკის ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე).

ლენინიზმი არის ის დიადი ჩირაღდანი, რომელიც გზას გვიშუქებს და მიგვყავართ დიადი გამარჯვებების მოსაპოებლად. ამხანაგი სტალინი მუდამ გვასწავლის, რომ თუ ჩვენ გვინდა გამარჯვებული გამოვიდეთ ყველა ბრძოლებში, უნდა მტკიცედ და ურყევად გვეჭიროს ლენინის უძლეველი დროშა და ყველაფერში ვბაძავდეთ ლენინს.

მოგვცა რა ლენინის ნათელი სახის კლასიკური დახასიათება. ისტორიულ სიტყვაში თავის ამომრჩევლების წინაშე, დიდი ბელადი გვასწავლის: „რომ ხალხმა თავის დეპუტატებს უნდა მოსთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე, რომ ისინი თავის მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობივატელების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ **ლენინის** ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები როგორც ლენინი.

რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარი ბრძოლაში და შეუბრალებელი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარ ნასახისაგან როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი როგორც უყვარდა იგი ლენინს“. ხალხთა ბელადის ეს დიადი მითითება ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელო წესია.

ლენინიზმის საზიზღარი მტრები, ტროცკისტ - ბუხარინელი გარეწრები, სისხლიანი ფაშიზმის დაქირავებული აგენტები, თავიანთ საზიზღარ მახვილს უმიზნებდნენ ლენინის დიად საქმეს, ხალხის დიად საქმეს.

ეს წყეული არამზადები მხილებული და განადგურებული არიან პროლეტარიატის დიქტატურის რკინის ქუსლით.

ლენინ-სტალინის საქმე მილიონების ნებისყოფის გამოხატულებაა და არ არსებობს მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი ძლევამოსილი მსვლელობის შეჩერება.

ლენინიზმი მსოფლიო მუშათა კლასის შუქურაა მათს ბრძოლაში ბურჟუაზიის მოსპობისათვის, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის.

არ არის ძალა რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ლენინიზმის ზეიმი მთელს მსოფლიოში.

ლენინიზმი ცოცხლობს, ლენინიზმი ზეიმობს, ლენინიზმი განაგრძობს თავის ტრიუმფალურ მსვლელობას.

ლენინის საქმის დიადსაჭესთან დგას სტალინი, „სტალინი, რომელიც ლენინია დღეს“. (ბარბიუსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ც ი

(გაგრძელება)

ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი.

უზარმაზარ კლდედ დგას ჩვენი ქვეყანა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოკეანით გარემოცული, ტალღა-ტალღაზე ეხეთქება მას და ემუქრება — წალეკოს და გადარეცხოს იგი. კლდე კი სულ შეურყევლად დგას. რაშია მისი ძალა? არა მარტო იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა ეყრდნობა მუშათა და გლეხთა კავშირს, რომ ის ანსახიერებს თავისუფალ ეროვნებათა კავშირს, რომ მას იცავს წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ძლიერი ხელი. ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, მისი სიმაგრე, მისი სიმტკიცე მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს ღრმა თანაგრძნობა და შეურყეველი მხარდაჭერა მთელი მსოფლიოს მუშებისა და გლეხების გულში. მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს სურთ შეინარჩუნონ საბჭოების რესპუბლიკა, როგორც ამხანაგ ლენინის საიმედო ხელით მტრების ბანაკში გასროლილი ისარი, როგორც ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავის დახსნის იმედების დასაყრდენი, როგორც საიმედო შუქურა, რომელიც უჩვენებს მათ განთავისუფლების გზას. მათ სურთ შეინარჩუნონ იგი და ნებას არ მისცემენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს დაანგრიონ იგი. ამაშია ჩვენი ძალა. ამაშია ყველა ქვეყნის მშრომელთა ძალა. ამაშივეა მთელი ქვეყნის ბურჟუაზიის უძლურება.

ლენინი საბჭოების რესპუბლიკას არასოდეს არ უყურებდა როგორც თვითმიზანს. იგი ყოველთვის განიხილავდა მას როგორც აუცილებელ რგოლს რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისათვის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. როგორც აუცილებელ რგოლს კაპიტალზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა გამარჯვების გაადვილებისათვის. ლენინმა იცოდა, რომ მხოლოდ ასეთი გაგებაა სწორი არა მარტო საერთაშორისო თვალსაზრისით, არამედ თვით საბჭოების რესპუბლიკის შენარჩუნების თვალსაზრისითაც. ლენინმა იცოდა რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულის ანთება განთავისუფლების მისაღწევად გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. აი რატომ ჩაუყარა მან, პროლეტარიატის გენიალურ ბელადთა შორის უგენიალურესმა, პროლეტარიატის დიქტატურის მეორე დღესვე, საძირკველი მუშათა ინტერნაციონალს. აი რატომ იყო, რომ იგი დაუღალავად აფართოვებდა და ამაგრებდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირს—კომუნისტურ ინტერნაციონალს.

თქვენ ხედავდით ამ დღეებში იმ ათეულ და ასეულ ათასობით მშრომელთ, რომელნიც პატივისცემით მიდიოდნენ ამხანაგ ლენინის კუბოსთან. რამდენიმე ხნის შემდეგ თქვენ ნახავთ მილიონობით მშრომელთა წარმომადგენლებს, რომელნიც პატივისცემით მივლენ ამხანაგ ლენინის საფლავზე. ნუ შეგეპარებათ იმაში, რომ მილიონობით მშრომელთა წარმომადგენლებს შემდეგ თან მოჰყვებიან ათეული და ასეული მილიონების წარმომადგენლები ქვეყნიერების ყველა კუთხიდან იმისათვის, რათა დაამოწმონ, რომ ლენინი იყო ბელადი არა მარტო რუსეთის პროლეტარიატისა, არა მარტო ევროპელი მუშებისა, არა მარტო კოლონიური აღმოსავლეთისა, არამედ, დედამიწის მშრომელთა მთელი სამყაროსიც.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულება. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი!

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

21 იანვარს თ. ს. უნივერსიტეტის კლუბში შესდგა ბოლშევიკების დიადი პარტიისა და ოქტომბრის დიდი რევოლუციის ორგანიზატორის ყველა ეპოქის უდიდესი გენიოსის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

ლენინის გარდაცვალებიდან 14 წლის შესრულების აღსანიშნავად მოწვეული საღამო გახსნა თბ. სახ. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. დევიძემ.

მოხსენება — ამხანაგ ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა თბ. ს. უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. გ. კიკნაძემ.

ც ხ რ ა ი ა ნ ვ ა რ ი

. . . ათასობით მოკლულნი და დაჭრილნი — ასეთია 22 (9) იანვრის სისხლიანი კვირის შედეგები პეტერბურგში. ჯარმა დაამარცხა უიარაღო მუშები, ქალები და ბავშვები. ჯარმა სძლია მტერს, დახვრიტა რა მიწაზედ მწოლიარე მუშები. ჩვენ მათ კარგი გაკვეთილი მივეცით"! გამოუთქმელი ცინიზმით ლაპარაკობენ ახლა მეფის მსახურნი და მათი ევროპელი ლაქიები, კონსერვატული ბურჟუაზიიდან.

დიახ, გაკვეთილი დიდი იყო! რუსეთის პროლეტარიატი არ დაივიწყებს ამ გაკვეთილს.

. . . მუშათა კლასმა მიიღო სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი; პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთი დღის განმავლობაში ისე წაიწია წინ, როგორც მას არ შეეძლო წაწევა უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებისა და წლების განმავლობაში.

. . . ახლა მთელი რუსეთის პროლეტარიატს უდიდესი მოუთმენლობით შეჰყურებს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. ცარიზმის დამხობა რუსეთში, რაც გმირულად დაიწყო ჩვენმა მუშათა კლასმა, გადაიქცევა მოსახვევ პუნქტად ყველა ქვეყნის ისტორიაში, ყველა ეროვნების ყველა მუშის საქმის გაადვილებად ყველა სახელმწიფოში დედამიწის ყველა კუთხეში.

ვ. ლენინი

ვინ უშლის ხელს საგამოცდო სესიების ჩატარებას

ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებით საგამოცდო სესიები უმაღლეს სკოლებში დამთავრებული უნდა ყოფილიყო 21 იანვრამდე. ამ მიზნით სახ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა დროულად ჩაატარეს მოსამზადებელი მუშაობა. შედგენილ იქნა საგამოცდო სესიების ცხრილი, მაგრამ ადგილი აქვს ზოგიერთი ლექტორის მიერ განრიგის დარღვევას. კერძოდ ეკ. ფაკულტეტზე—132-133 ჯგუფში მრეწველობის ეკონომიკის ლექტორმა მიქელაძემ — 14 იანვარს დანიშნული სესია — [illegible] 17 იანვრამდე, რამაც გამოიწვია 19 იანვარს ბალანსის ანალიზის საგანში გამოცდის ჩაშლა.

ქ. გველესიანი

გ ე ლ ა დ ს

დიდება მას, ვინც პატარას
გიმღეროდა ნანას ტკბილად,
ერთმა დედამ გშობა, მაგრამ
ყველა დედას ჰყავხარ შვილად.
კავკასიის მწვერვალები
გაწოვებდა ძუძუს რძიანს
და აკვანი მთის კალთებზე
ქარიშხალმა დაგირწია.
შენი მზერა ჰგავდა არწივს
და ცეცხლიან გრიგალს სძლიე,
აქუხდი და ხალხთ ბორკილი
დალეწე და დაამსხვრიე.
თვალი ახლაც არწივს გიგავს,
ოქროს სიტყვას აფრქვევ ღვარად,
გამარჯვების დროშა მიგაქვს
კომუნიზმის საწინდარად.
რა ძალა ხარ, რა ფოლადი,
რა ვაჟკაცი, რა დიადი,
შენ შეგვიქმენ გაზაფხული
და ნათელი განთიადი.
მზე გველეშაპს გამოსტაცე,
ხალხს სამშობლო დაუბრუნე. —
ჯუღაშვილი დედამ შობა
და სტალინი — საუკუნემ.

ანდრო თევზაძე.

მწერალი ალექსი ტოლსტოი, რომელსაც მიმდინარე წლის იანვარში შეუსრულდა 55 წელი. ა. ტოლსტოი ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილია, იგი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა თავიანთი ქვეყნის უმაღლესი ორგანოს დეპუტატად აირჩიეს. ამხ. ტოლსტოიმ მონაწილეობა მიიღო სსრკ უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობაში.

რა გვიჩვენა ფაკულტეტების პროფორგების საანგარიშო-საგადარჩევო კრებებმა

ამ ცოტა ხნის წინ სახ. უნივერსიტეტში ჩატარდა ფაკულტეტების პროფკომების საანგარიშო საგადარჩევო კრებები. ამ კრების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, ჯანსაღი ბოლშევიკური კრიტიკის და თვითკრიტიკის მომარჯვებით, სახ. უნივერსიტეტის პროფორგანიზაციის წასული მუშაობის დეფექტების გამოაშკარავება და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა შემდგომი მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნისათვის.

ამასთან ერთად საანგარიშო საგადარჩევო კრებებს უნდა წამოეყენებია და აერჩია უნარიანი საქმით დაინტერესებული, პარტიისა და ხალხის საქმისადმი ერთგული ამხანაგები, ფაკულტეტების პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. კრებების შედეგებმა დაადასტურა, რომ ეს ამოცანები მთელ რიგ ფაკულტეტებზე ვერ აიყვანეს პრინციპულ სიმაღლემდე.

ნაკლოვანებათა კრიტიკა სუსტად და უფერულად მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ისტორიული ფაკულტეტის შესახებ სადაც კრებას საპარადო ელფერი უფრო ჰქონდა. ამ კრებაზე ხშირად უხდებოდათ წესრიგის დაცვაზე ლაპარაკი — რადგან სუსტი იყო კრებისადმი ხელმძღვანელობა. ამ მხრივ არც სხვა ფაკულტეტები ჩამორჩებოდნენ ისტორიის ფაკულტეტს.

საანგარიშო საგადარჩევო კრებებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ ფაკულტეტის პროფორგანიზაციების მუშაობა ძალზე სუსტი იყო, იგი ვერ პასუხობდა პროფორგანიზაციების წინაშე დასმულ უაღრესად აქტუალურ პოლიტიკურ ამოცანებს. უნივერსიტეტში მოკალათებულმა ხალხის საზიზღარმა მტრებმა, იაპონია-გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტებმა, აწარმოებდნენ რა საზიზღარ დამანგრეველ მუშაობას ცოტა ზიანი როდი მიაყენეს უნივერსიტეტის პროფორგანიზაციების საქმიანობას.

ამ არამზადებმა, მოახერხეს რა ჟულიკური მახინაციებით აღმასბიუროს ხელმძღვანელობაში გაძრომა, და აწარმოებდნენ თავიანთ დამანგრეველ ძირგამომთხრელ მუშაობას.

მაგ: ეკონომიურ ფაკულტეტზე დიდხანს მოქმედებდნენ შენიღბული ხალხის მტრები. მათ სრულიად ჩაშალეს პროფ მუშაობა ჯგუფში, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ სიგნალები იყო პროფკომმა ტორონჯაძემ არავითარი ზომები არ მიიღო მათ წინააღმდეგ.

ლიტერატურულ ფაკულტეტზე რევოლუციონური სიფხიზლის მოდუნების გამო ვერ იქნა მხილებული თავის დროზე ხალხის მტრები. მსგავს მაგალითებს ადგილი ქონდა სხვა ფაკულტეტებზედაც. ეს ფაქტები ნათლად ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ რევოლუციური სიფხიზლე პროფორგანიზაციებში მოდუნებული იყო, რითაც ისარგებლეს ხალხის მტრებმა და შესძლეს თავიანთი საზიზღარი გამცემლური მუშაობის წარმოება.

დავიწყოთ პროფკავშირული მეურნეობიდან. თავის დროზე არ იყო გამოცვლილი საწევრო ბილეთები. არის ჯგუფი სადაც დღესაც არ არის მოგვარებული ეს საქმე, მაგ. გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის მთელ რიგ ჯგუფებში ჯერაც არ გამოცვლილა პროფ წიგნაკები. ცუდად იყო დაყენებული საწევრო ანარიცხების აკრეფა— ჯერ კიდევ ბევრს აქვს გადაუხდელი საწევრო ანარიცხების საკმაო რაოდენობა. მაგ: ბიოლოგიური ფაკულტეტის 164 ჯგუფებს.

ყველა ფაკულტეტებზე სუსტი იყო თავისუფალ ორგანიზაციებზე (თავდაცვა ავიოქიმის, რემედასის, მუკის) ხელმძღვანელობა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ორგანიზაციებს არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევდნენ.

სამარცხვინოდაა ჩამორჩენილი აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა. სამეცნიერო წრეების მუშაობა უნივერსიტეტში სანიმუშო უნდა იყოს, რადგან მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სტუდენტთა მეცნიერული ჰორიზონტის გაფართოებისათვის. არ არის არც ერთი სამეცნიერო წრე რომლის მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყოს. ეს სამწუხარო ამბავია, მაგრამ ფაქტია. ფაკულტეტების დეკანებიც დანაშაულებრივ უდარდელობას იჩენენ სამეცნიერო წრეების მუშაობისადმი. არცერთ მათგანს სერიოზულად არ მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის.

საანგარიშო საგადარჩევო კრებებმა გამოაშკარავეს აგრეთვე შრომის სოციალისტური მეთოდების სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის საქმისადმი პროფესიული ორგანიზაციების უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები. დაკმაყოფილდნენ შეჯიბრების მუხლების შედგენით და თავს არ იწუხებდნენ შესრულების შემოწმებაზე.

ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა აგრეთვე პროფპროლიტწრეების მუშაობა, ფრიადოსანთა შორის მუშაობა და სხვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ პროფორგანიზაციების ხელმძღვანელები ახლოს არ იდგნენ პროფკავშირულ მასასთან.

ამის ნათელ მაგალითს იძლევა ისტორიულ ფაკულტეტზე მომხდარი ამბავი, იმის გამო, რომ ხელმძღვანელები იცნობდენ პროფკავშირის წევრ პროფორგანიზაციის ხელმძღვანელ ასარჩევ სიაში შეიტანეს პროფკავში არა წევრები.

ეს ფაქტი თვალნათლივ ამხელს პროფორგანიზაციის ხელმძღვანელთა უთაურობას, სრულ მოწყვეტას პროფკავშირული მასიდან.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ მათემატიკურ ფაკულტეტზე მომხდარი „საქმენი საგმირონი“ პროფორგანოების გადარჩევები აქ 7 იანვარს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ფაკულტეტის დეკანატის დანაშაულებრივი დაუდევრობით კრება ჩაიშალა. მათ პარტკომისა და აღმასბიუროს შეთანხმების გარეშე გამოაკრეს განცხადება: კრება არ შედგებაო.

უთაურობა და საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება ამაზე შორს ვერ წავა.

აღმასბიუროს მუშაობაც, რბილად რომ ვსთქვათ, მეტად მოუქნელი და უფერულია. აქ ბევრს ლაპარაკობენ და ცოტას აკეთებენ. სუსტია ხელმძღვანელობა ფაკულტეტის პროფორგანიზაციებზე. საჭიროა აღმასბიურომ და ახლად არჩეულმა ფაკულტეტების პროფორგანიზაციების ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები გამოიყვანონ საანგარიშო საგადარჩევო კრებების შედეგებიდან.

ვლ. თითბაძე

მთავლიტის რწმუნებული № 2110
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია, მარის ქ. № 1.
სარედაქციო კოლეგია.